ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 02-02/33

ქ. თბილისი 02. 03. .2012

„ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" **2011-2012** სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ" რექტორის 2011 წლის 22 დეკემბრის № 02-02/265 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახურის უფროსის ქ-ნ ნინო წერეთლის წერილის (№04-360, 13.01.2012); ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის; ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4. პუნქტის, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გაფართოებული სხდომის (ოქმი №18, 28.03.2012) დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები „ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ" რექტორის 2011 წლის 22 დეკემბრის № 02-02/265 ბრძანებაში და ბრძანების 1.1., 1.3. და 1.4. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

საქართველოს ისტორია	(6 ადგილი)
არქეოლოგია	(3 ადგილი)
ეთნოლოგია	(4 ადგილი)
ქართველური ენათმეცნიერება	(4 ადგილი)
თარგმანმცოდნეობა	(5 ადგილი)
ქართული ლიტერატურის ისტორია	(4 ადგილი) "

"1.3 ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკური მოდელირება	(6 ადგილი)
მცენარეთა ბიოლოგია და ბიოტექნოლოგია	(6 ადგილი)
ეკოლოგია და გარემოს დაცვა	(4 ადგილი)"

1.4. სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლა (ფაკულტეტი)

ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება	(5 ადგილი)
ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია	(4 ადგილი)
საერთაშორისო სამართალი	(4 ადგილი) "

2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, ბუღალტერიას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს, პროგრამული უზრუნველყოფისა და ელექტრონული სწავლების სამსახურს;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე